ანგარიში განხილულია

პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 6

01 ივლისი, 2024 წ.

# სკოლის ერთწლიანი (2023-2024 წწ) სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024 წწ) გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (შემდგომში სამოქმედო გეგმა) ორიენტირებულია განსაზღვროს სკოლის მიერ ერთი წლის განმავლობაში განვითარებისა და საკუთარი ადგილის დამკვიდრების განსახორციელებელად საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მიზნები, ამოცანები, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/თანამშრომლები და დასახული მიზნების მიღწევის ლოგიკური თანმიმდევრობა.

სამოქმედო გეგმა შეესაბამება სკოლის მისიასა და მიზნებს, მის ადმინისტრაციულ, ფინანსურ და ინტელექტუალურ პოტენციალს.

ზემოაღნიშნული ფაქტორების რაციონალური ანალიზი და განვითარების პროცესში მათი ასახვა წარმოადგენს სამოქმედო გეგმის, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტის გამოყენების აუცილებლობას.

## 1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება

სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებების კუთხით შემუშავდა სასწავლო პროგრამები/ კურიკულუმები. დაიხვეწა და მოწესრიგდა სასკოლო დოკუმენტაცია. საჭიროებისამებრ, მოხდა ცვლილებების შეტანა და ახლის დამტკიცება. შეიქმნა და დაინერგა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა; აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვის განხორციელდა მიზნობრივი აქტივობები. გაიზარდა მოსწავლეთა თვითმმართველობის როლი სასკოლო ცხოვრებაში.

სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატიურად ტარდებოდა მონიტორინგი, ვაკვირდებოდით სასწავლო პროცესს, რომლის მიზანი იყო პრობლემების აღმოჩენა და მათი მოგვარების გზების დასახვა, შექმნილ საჭიროებებზე ეფექტური რეაგირება.

სკოლა, მუდმივად ცდილობს მოსწავლეს შეუქმნას ჯანსაღი გარემო და სასწავლო მიდგომები მორგებული იყოს თანამედროვე სწავლების მიდგომებზე და მეთოდებზე. ჩამოუყალიბოს მოსწავლეს სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება და სამყაროს შემეცნების მიმართ

ინტერესი, შეუქმნას მოსწავლეს პირობები საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად და სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად.

სადამრიგებლო საქმიანობა სკოლის წარმატებულად მუშაობისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია. დამრიგებელი რეგულარულად ატარებს სადამრიგებლო საათს. სადამრიგებლო საათის მიზანია, მოსწავლის კრიტიკული, ანალიტიკური და კრეატიული აზროვნების განვითარება, მოსწავლეთა პიროვნული ზრდა, ღირებულებათა სისტემის, მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირება, ასევე, ხელს უწყობს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უვითარებს ლიბერალურ და დემოკრატულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. სადამრიგებლო საათი აღრმავებს ცოდნას ეთიკის, ფსიქოლოგიის, სამოქალაქო განათლების სფეროსა და სხვა საკითხებში, ეხმარება მოსწავლეებს ღირებულებათა იერარქიის ფორმირებაში. სასწავლო წლის განმავლობაში, სისტემატიურად ტარდებოდა სხვადასხვა კათედრის მიერ ორგანიზებული აქტივობები.

## 2. ადამიანური რესურსის განვითარება

ადამიანური რესურსის განვითარების კუთხით დასახული ამოცანებიდან

1 .პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება;

2. ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება, განხორციელდა შედეგიანი აქტივობები. დაინერგა და შემუშავდა პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი; თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო შეიქნა ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა. ტრენინგებზე მიღებული ცოდნა გაზიარდა პრაქტიკაში; ხარისხის მართვის კოორდინატორისა და კათედრის წარმომადგენლის მხრიდან ხორციელდებოდა გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლებისათვის ხდებოდა უკუკავშირის გაზიარება.

## 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

მნიშვნელოვან საკითხად მივიჩნიეთ სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის საკლასო ოთახების და ბიბლიოთეკის სამკითხველო ოთახის, ინვენტარისა და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პირობების, კომპიუტერული ტექნიკის (კომპიუტერული პროგრამების და ინტერნეტის) მდგომარეობის შემოწმება და საგანმანათლებლო პროგრამებით

გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან შესაბამისობის დადგენა, შედეგების ანალიზი და ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიებების გატარება დასახული ამოცანებიდან.

## 4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა

დასახული ამოცანებიდან:

1. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;

2. უსაფრთხოების ნორმების დაცვა;

3. უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, პრევენციული ღონისძიებების განხორციელება. განხორციელდა შემდეგი აქტივობები: უწყვეტად მიმდინარეობდა სკოლის შიდა და გარე ტერიტორიის დაცვა; სასკოლო სივრცეში არსებული წესების სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობა; სახანძრო უსაფრთხოების წესების გაცნობა; ვიდეო კამერების მონიტორინგი; მასწავლებელთა მორიგეობის სისტემის შექმნა; სკოლის ტერიტორიაზე ვიზიტორთა აღრიცხვა; ცნობიერების ამაღლების მიზნით მშობლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრების ორგანიზება. შემუშავდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და გადაგზავნილ იქნა უფლებამოსილ ორგანოსთან შესათანხმებლად. სკოლამ მიმართა შესაბამის უფლებამოსილ უწყებას შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლამ ხელშეკრულება გააფორმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სპეციალისტთან. სკოლა უზრუნველყოფს ასევე ფსიქოლოგიურ მომსახურებას.

სკოლა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებითა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, საევაკუაციო გეგმა სართულებზე განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდებოდა სკოლის პერსონალის პერიოდული გადამზადება უსაფრთხოებისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მიმართულებით. ტარდებოდა სწავლება-სახანძრო ევაკუაციასა და საგანგებო სიტუაციებში სკოლის პერსონალის მოქმედებათა ოპერატიულობის მონიტორინგის მიზნით.

## 5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

დასახული ამოცანებიდან

1.მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა;

2. მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში;

3. მშობლებთან ურთიერთობების ფორმების დახვეწა;

4. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა, შესრულდა აქტივობები: სკოლის დირექციის მხარდაჭერით ჩატარდა მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები;

დაიხვეწა მშობლებთან ურთიერთობები; ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ყოველდღიური კომუნიკაცია წარმოებდა მშობელთან; დამრიგებელთა მიერ მშობლებთან კომუნიკაციისთვის ასევე გამოიყენებოდა სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები (მეილი, ტელეფონი, სოციალური ქსელი და ა.შ).

2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატიური ხასიათი ჰქონდა მშობლებთან შეხვედრას, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. მშობლებთან ხშირი კომუნიკაცია გვეხმარება პრობლემების გამოკვეთასა და მათ დროულად მოგვარებაში.

## 6. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება

დასახული ამოცანებიდან

1. მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა;

2. დამატებითი სერვისების განვითარება;

3. მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება, ჩატარდა შემდეგი აქტივობები: მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის დამკვიდრება; სწავლა-სწავლების პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების შეთავაზება;

კლუბების/წრეების ფუნქციონირება და გამრავალფეროვნება;

სკოლამ დანერგა მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები, რომელიც წარმოადგენს სხვადასასხვა ინსტრუმენტებისა და პროცედურების ერთობლიობას, რომლის მიზანია, რაც შეიძლება სრულფასოვნად და ეფექტიანად მოხდეს ახალი მოსწავლის ინტეგრაცია სკოლის სოციალურ გარემოსთან, კულტურასა და ღირებულებებთან. ადაპტაციის მიზნებია:

ა) ახალი მოსწავლის სკოლაში/კლასში სწრაფი ინტეგრაცია, სოციალიზაცია და ორიენტაცია;

ბ) ორგანიზაციაში არსებული ღირებულებების, კულტურისა და წესების შესახებ ინფორმირება;

გ) საჭირო უნარების გამომუშავებაში დახმარება და მისთვის დაკისრებული მოვალეობებისა შესახებ ინფორმირება;

დ) ახალი მოსწავლისთვის სკოლის მისიის, ხედვის, შინაგანაწესისა და სხვა ღირებულებების გაცნობა.

სკოლამ, ასევე, შეიმუშავა მოსწავლის კანონით განსაზღვრული უფლებების გასაჩივრების წესი.

## 7. ორგანიზაციული განვითარება

სკოლამ შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების, სამოქმედო და სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასების ინდიკატორები, მისი მონიტორინგის და განახლების მექანიზმები; მიმდინარეობდა სკოლის თანამშრომლების შერჩევა ზოგადი განათლების შესახებ კანონისა და ესგ-ს მოთხოვნების საჭიროებისამებრ ღია კონკურსის წესით; განხორციელდა მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან ხელშეკრულებების გაფორმება და განახლება (საჭიროების შემთხვევაში); განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით მაკონტროლებელ ორგანოებთან ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილი იქნა ანგარიშვალდებულების სისტემის გამჭვირვალობა, საჯაროობა და ადვილად ხელმისაწვდომობა, სტრატეგიული გეგმის მიზნების შესაბამისად ბიუჯეტის დაგეგმვა, განკარგვა და მონიტორინგი.

მონიტორინგის შედეგები

| სტრატეგიული მიმართულება | ამოცანები | აქტივობები | მონიტორინგის შედეგები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | შენიშვნა |
| **1.სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება** | ახალი პროგრამების შემუშავება/ დანერგვა | სასწავლო პროგრამების/კურიკულუმების / შემუშავება | X | | | |
| | | სასკოლო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა/საჭიროების შემთხვევაში ახლის დამტკიცება | X | | | |
| | | საჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება/სწავლება | X | | | |
| | | მოსწავლეთათვის მრავალფეროვანი, დამატებითი სასწავლო პროგრამების შეთავაზება | X | | | |
| | | სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება/დანერგვა | X | | | |
| | სასწავლო პროცესის | შიდა სასკოლო პროექტების | X | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარისხის გაზრდა | დანერგვა და მართვა | | | | |
| | | დიფერენცირებული სწავლება | X | | | |
| | | სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დამკვიდრება | X | | | |
| | | გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემის დანერგვა | X | | | |
| | | დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან დამატებითი მუშაობა | X | | | |
| | სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება | სხვადასხვა ტიპის კითხვარების შემუშავება. მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევის მიზნით | X | | | |
| | | სასწავლო პროცესის დიაგნოსტიკური წერების ჩატარება | X | | | |
| | | სასწავლო პროცესის | X | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა და პერიოდულად მონიტორინგის ჩატარება | | | | |
| | | სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულების მონიტორინგი | X | | | |
| | | სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში) | X | | | |
| | | საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, შედეგების ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება | X | | | |
| | აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვის მოსწავლეებში | მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა, მოიპოვონ დაფინანსება და პროფესიას დაეუფლონ პრესტიჟულ | X | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოტივაციის გაზრდა | უმაღლეს სასწავლებლებში | | | | |
| | | მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლის შედეგად საუკეთესო მოსწავლეთა წახალისების პრაქტიკის დამკვიდრება | X | | | |
| | | მოსწავლეთათვის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა | X | | | |
| | | ოლიმპიადებში, კონფერენციებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართვა და წარმატებული მოსწავლეების წახალისება | X | | | |
| **2.ადამიანური რესურსის განვითარება** | პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება | პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დანერგვა | X | | | |
| | | პერსონალის მართვისას მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვა | X | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის დანერგვა | X | | | |
| | | ადამიანური რესურსის მუდმივი განვითარება | X | | | |
| | აკადემიური კორპუსის გამლიერების მიზნით საუკეთესო კადრების მოზიდვა | ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება | X | | | |
| | ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება | თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა | X | | | |
| | | სხვადასხვა აქტივობების განხორციელება და განვითარების მუდმივი კონტროლი | X | | | |
| | | თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა | X | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ტრენინგებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა | X | | | |
| | | მაძიებლობის სტატუსის მქონე მასწავლებლებთან ტუტორების აქტიური მუშაობა და საჭიროების შემთხვევაში შიდა სასკოლო კონსულტაციების გამართვა | X | | | |
| | | მასწავლებელთა წახალისების სისტემის დანერგვა | X | | | |
| | | გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლებისათვის უკუკავშირის გაზიარება | X | | | |
| | | მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება, რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით, მასწავლებელთა კოორდინირებული მუშაობა | X | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში საგნობრივ შეხვედრებში მონაწილეობის ხელშეწყობა | X | | | |
| **3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება** | ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; | სკოლის კეთილმოწყობა, არსებული მდგომარეობის შენარჩუნება და განვითარება | X | | | |
| | | ინვენტარის და სხვა მასალების შეძენა (საჭიროებისამებრ) | X | | | |
| | | საჭიროების შემთხვევაში კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოების ჩატარება | X | | | |
| | საგანმანათლებლო/ სასწავლო რესურსების განახლება/შევსება | წიგნადი ფონდის შევსება, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების მოძიება | X | | | |
| | | ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების ცდების ჩატარებისათვის აუცილებელი მასალებით მომარაგება | X | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მასწავლებლისათვის მეთოდური და დამხმარე ლიტერატურის შეძენა | X | | | |
| | | სპორტული ინვენტარის განახლება | X | | | |
| | საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება | სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება | X | | | |
| | | ოფიციალური ვებ-გვერდისა და საკომუნიკაციო არხების შექმნა/განვითარება და მუდმივი განახლება | X | | | |
| | ფინანსური მდგრადობა | დამატებითი ეკონომიკური შემოსავლების მოძიება | X | | | |
| | | ფინანსური რესურსების მართვის გაუმჯობესება | X | | | |
| | | ფინანსური რესურსების მართვის მონიტორინგი | X | | | |
| **4. უსაფრთხო, ორგანიზებ** | საზოგადოებრივი | სკოლის შიდა და გარე ტერიტორიის დაცვა | X | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა** | წესრიგის დაცვა | სასკოლო სივრცეში არსებული წესების სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობა | X | | | |
| | | სასკოლო სივრცეში არსებული წესების დაცვა | X | | | |
| | | პოზიტიური გარემოს შექმნა | X | | | |
| | უსაფრთხოების ნორმების დაცვა | ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და სკოლაში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის ფუნქციონირების კონტროლი | X | | | |
| | | სახანძრო უსაფრთხოების წესების გაცნობა | X | | | |
| | | სპეციალური სწავლება სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების შესახებ | X | | | |
| | უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული | ვიდეო კამერების მონიტორინგი | X | | | |
| | | მასწავლებელთა მორიგეობის სისტემის შექმნა | X | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ღონისძიებების განხორციელება | სკოლის ტერიტორიაზე ვიზიტორთა აღრიცხვა | X | | | |
| | | ცნობიერების ამაღლების მიზნით მშობლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრების ორგანიზება | X | | | |
| **5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა** | მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა | მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება | X | | | |
| | | სკოლის თვითმმართველობის ინიციატივების მხარდაჭერა | X | | | |
| | მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში | მშობელთა კმაყოფილების კვლევა, შედეგების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის დახვეწა/გაუმჯობესება | X | | | |
| | | სსსმ მოსწავლეების მშობლებთან მუდმივი კომუნიკაცია მოსწავლისათვის სასწავლო/აღმზრდელობითი პროცესის დაგეგმვისას (საჭიროების შემთხვევაში) | X | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მშობლების მონაწილეობით სხვადასხვა ღონისძიებებისა და პროექტების ორგანიზება | X | | | |
| | მშობლებთან ურთიერთობების ფორმების დახვეწა | მშობელთა კრებების ორგანიზება | X | | | |
| | | მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზება | X | | | |
| | | ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ყოველდღიური კომუნიკაცია | X | | | |
| | | დამრიგებელთა მიერ მშობლებთან კომუნიკაცია სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით (მეილი, ტელეფონი, სოციალური ქსელი და ა.შ) | X | | | |
| | მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის | მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი | X | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გაზრდა | სკოლის კოლეგიური ორგანოების შეხვედრებში მშობელთა მონაწილეობის მაქსიმალური ხელშეწყობა | X | | | |
| | მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურება | თანამედროვე მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება | X | | | |
| | | სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და ინიცირება | X | | | |
| | | გამჭვირვალე და სამართლიანი გასაჩივრების, ასევე, საჩივრების განხილვის ეფექტური სისტემის მუშაობა | X | | | |
| **6. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება** | მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა | მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის დანერგვა | X | | | |
| | | სწავლა-სწავლების პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნა და საჭიროების | X | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | შემთხვევაში კონსულტაციების შეთავაზება | | | | |
| | | კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა | X | | | |
| | | სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმის დახვეწა | X | | | |
| | დამატებითი სერვისების განვითარება | კლუბების/წრეების ფუნქციონირება და გამრავალფეროვნება | X | | | |
| | | შესაბამისი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა (გასვლითი გაკვეთილები, მიზნობრივი ექსკურსიები და ა.შ.) ორგანიზება | X | | | |
| **7.ორგანიზაციული განვითარება** | სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა | საქართველოს სკოლებსა და უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, ერთობლივი პროექტების დაგეგმვა/ განხორციელება | X | | | |
| | | სხვადასხვა ორგანიზაციებთან მემორანდუმების | X | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | გაფორმება და თანამშრომლობა; | | | | |
| | სკოლის ცნობადობის გაზრდა | სკოლაში არსებული მმართველობითი პოლიტიკისა და სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებით თემში სკოლის მიმართ ინტერესის გაზრდა | X | | | |
| | | სკოლის სოციალური ქსელის, ვებ-გვერდის გამოყენებით სკოლის პოპულარიზაცია | X | | | |
| | | მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა | X | | | |
| | სრული ზოგადსაგან მანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესისათვის მომზადება | სკოლის ავტორიზაციის პროცესისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზება | X | | | |
| | | ავტორიზაციისთვის მოსამზადებელი პროცესების მონიტორინგი | X | | | |